განმართებითი ბარათი

კაფე-ბარი

გვსურს ქალაქ თბილისის, დავით აღმაშენებლის გამზირზე N21-ში (საკადასტრო კოდი 01.16.05.031.027) დამკვეთის საკუთრებაში არსებულ ფართში გავაკეთოთ, ღვინის სადეგუტაციო და გასაყიდი, კაფე-ბარი სადაც წარმოდგენილი იქნება, როგორც ქართული ასევე სხვა ქვეყნის ღვინოებიც.

რის საფუძველზეც ვითხოვთ ინტერიერის კეთილმოწყობაზე და საჩრდილობელის დამონტაჟებაზე მშენებლობის ნებართვას. ასევე მოგახსენებთ რომ ისტორიული საჭოსგან გვაქვს მიღებული თანხმობა საჩრდილობის წყობაზე და გარე ტერიტორიაზე მაგიდების განთავსებაზე. ასევე პირობადადებული თანხმობა გვაქ ქალქგეგმარებითი საბჭოდან გარე ტერიტორიაზე ღია საზახულო კაიფის მოწყობაზე. ორივე თანხმობა მიმაგრებულია დამატებითი ველის გრაფაში

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 3030214

გაცემის თარიღი: 09/01/2017 გაცნობის თარიღი: 17/01/2017

განცხადების ნომერი: AR1466123

შემოსვლის თარიღი: 23/12/2016

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.16.05.031.027
- მისამართი: ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 21
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 91.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): როლანდ იაკობაშვილი (P/N: 495504219)

ნომენკლატურა :

- **მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)**
- **II კლასი**
- **ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები**
- **ესკიზის წინასწარი შეთანხმება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- შორენა წილოსანი პ/ნ 01015006822
- მისამართი: თბილისი გ.ათონელის ქ. N 21

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში,დავით აღმაშენებლის გამზ. N21-ში (ძეგლი) არსებულ შენობასთან მაგიდებისა და საჩრდილობლის მოწყობის ესკიზის წინასწარ შეთანხმებას.
განცხადება და თანდართული დოკუმენტები განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმიN51;29.12.16 წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც მიეცეს დადებითი შეფასება ქ.თბილისში,დავით აღმაშენებლის გამზ. N21-ში (ძეგლი) არსებულ შენობასთან მაგიდებისა და საჩრდილობლის მოწყობის ესკიზს საყვავილეების გარეშე.

- შენიშვნა:

1. გაცნობებთ, რომ ესკიზის წინასწარი შეთანხმებისას სამსახური განიხილავს ფოტომონტაჟის მიხედვით განსახორციელებელი მშენებლობის მხოლოდ ქალაქგეგმარებით შესაბამისობას არსებულ განაშენიანებასთან. კერძოდ, შენობის ვიზუალური მხარე შეესაბამება თუ არა არსებულ განაშენიანებას,ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს. ხოლო, სხვა საკითხების შესწავლა, რაც, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, ესკიზის წინასწარი შეთანხმების დროს არ ხდება.
2. ზემოთქმულიდან გამომდინარე, არასასურველი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით, გეძლევათ რეკომენდაცია, საჭირო დოკუმენტების/პროექტების სრულად დამუშავებამდე შესწავლილი იქნას განსახორციელებელი/საპროექტო სამშენებლო სამუშაოების თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის მე-15 მე-16 34-ე 35-ე მუხლებთან და სხვა წესებთან/ნორმებთან შესაბამისობა.

- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- კითხვების შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციას, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346. ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო ოთახში შარტავას ქ. #7 მერიის შენობა მეორე სართული ოთახი #9, ან რაიონულ გამგეობებში არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან.

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 3069577

გაცემის თარიღი: 30/01/2017 გაცნობის თარიღი: 30/01/2017

განცხადების ნომერი: AR1472165

შემოსვლის თარიღი: 21/01/2017

შედეგი: **პირობადადებული**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: -
- მისამართი: ქალაქი თბილისი, გამზირი დავით აღმაშენებელი, N21
- ნაკვეთის დანიშნულება: -
- ფართობი: -
- მესაკუთრე(ები): -

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება**
- **ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- შორენა წილოსანი პ/ნ 01015006822
- მისამართი: თბილისი გ.ათონელის ქ. N 21

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს #261 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 21 იანვრის #AR1472165 განცხადება ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირი N21-ის მიმდებარედ არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტის წინ საზაფხულო კაფეს მოწყობის მიზნით წერილობითი ნებართვის გაცემის თაობაზე და გაცნობებთ, რომ პირობადადებული თანხმობა უნდა შემოატრიალოთ მხოლოდ პირობის შესრულების შემთხვევაში, იჯარის ხელშეკრულების წარმოდგენით 2017 წლის 24 მარტამდე.

- კითხვების შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციას, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346. ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო ოთახში შარტავას ქ. #7 მერიის შენობა მეორე სართული ოთახი #9, ან რაიონულ გამგეობებში არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.